რუსეთის პოლიტიკა ბათუმის ოლქში (1878-1903 წლები)

RUSSIAN POLICY IN BATUMI REGION (1878-1903 YEARS)

JEMAL KARALIDZE
Doctor of History, Professor of Batumi
Shota Rustaveli State University,
N35 E. Ninoshvilis st. Batumi, Georgia
+995 577179770, jemal.karalidze@bsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-7179-0455

Abstract. A number of historians of different generations dedicated their work to separate issues of Batumi region. After setting foot in Transcaucasia at the beginning of the 19th century, Russia diligently tried to take possession of Batumi and manages to realize this goal as a result of the Russo-Ottoman war of 1877-1878, when by the decision of the Congress of Berlin, Batumi, along with other regions of southwestern Georgia, was handed over to Russia with a status of Porto Franco. At the same time, it became obvious that tsarism had distinct colonial interests in the Caucasus as a whole, as well as in the Batumi region and especially in its coastal zone, therefore it implemented a multifaceted imperial policy: implementation of administrative arrangements or its reorganization; when deciding land and property relations, developing or implementing Porto Franco rules; when introducing city self-government or holding elections of a head of the town; when solving cultural and educational issues and etc.; The harsh colonial policy of Russia (as previously from Samtskhe-Javakheti and Abkhazia) led to the migration of the native Muslim Georgian population (Muhajirs) of Batumi region.

Despite the obvious colonial policy of Russia, important economic, socio-political and cultural changes were implemented in Batumi region. Oil export of Baku gave a strong impetus to the development of not only Batumi, but the entire region. In 1883, Batumi was connected to Tbilisi, Baku and other important centers by a railway line, the Batumi port was expanded and improved, the infrastructure related to oil export was created, industrial enterprises were opened in Batumi by famous industrialists: Rothschild, Nobel, Mantashev and others. The result of this was that in the beginning of XX century Batumi turned into a large industrial and trade center and took the third place in Transcaucasia after Tbilisi and Baku. The Russian government tried in every way to use the process of economic development for the purpose of colonization - it promoted the attraction of non-Georgian population to Batumi region, however, with the efforts of Ilia Chavchavadze, Sergi Meskhi, Luka Asatiani, Ivane Andronikashvili and other statespersons the goal of tsarism - to colonize the country completely and turn Batumi into a typical Russian city - remained unachieved.

Key words: Russia; Batumi region; Muhajir Migration; colonization; Georgian society.

ჯემალ კარალიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველო,ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. N35
+995 577179770, jemal.karalidze@bsu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-7179-0455

აბსტრაქტი. ბათუმის ოლქის ისტორიის საკითხებს სხვადასხვა თაობის არაერთმა ისტორიკოსმა მიუძღვნა ნაშრომი. XIX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდების შემდეგ რუსეთი გულმოდგინედ ცდილობდა ბათუმის დასაკუთრებას. ამ მიზნის განხორციელება მან 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად შეძლო, როცა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით რუსეთს გადაეცა. იმთავითვე აშკარა გახდა, რომ ცარიზმს როგორც საერთოდ კავკასიაში, ასევე ბათუმის ოლქში და განსაკუთრებით მის ზღვისპირა ზონაში გამოკვეთილი კოლონიური ინტერესები გააჩნდა, შესაბამისად იგი მრავალმხრივ იმპერიულ პოლიტიკას ატარებდა: ადმინისტრაციული მოწყობისა თუ მისი რეორგანიზაციის განხორციელებისას; საადგილმამულო ურთიერთობების გადაწყვეტისას; პორტო ფრანკოს წესების შემუშავებისა თუ მისი გატარებისას; საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისა თუ ქალაქის თავის არჩევნების ჩატარებისას; კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხების გადაჭრისას და სხვა. რუსეთის მკვეთრმა კოლონიურმა პოლიტიკამ (როგორც ადრე სამცხე-ჯავახეთიდან და აფხაზეთიდან) გამოიწვია ბათუმის ოლქის მკვიდრი მაჰმადიანი ქართული მოსახლეობის გადასახლება - მუჰაჯირობა.

რუსეთის აშკარა კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად ბათუმის ოლქში მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცვლილებები განხორციელდა. ბაქოს ნავთობის ექსპორტმა მძლავრი ბიძგი მისცა არა მარტო ბათუმის, არამედ მთელი რეგიონის განვითარებას. 1883 წელს ბათუმი რკინიგზის ხაზით თბილისს, ბაქოს და სხვა მნიშვნელოვან ცენტრებს დაუკავშირდა, გაფართოვდა და კეთილმოეწყო ბათუმის პორტი, შეიქმნა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, ბათუმში სამრეწველო საწარმოები გახსნეს ცნობილმა მრეწველებმა: როტშილდმა, ნობელმა, მანთაშევმა და სხვებმა. აღნიშნულის შედეგი იყო ის, რომ XX ს. დასაწყისში ბათუმი მსხვილ სამრეწველო-სავაჭრო ცენტრად გადაიქცა და ამიერკავკასიაში თბილისისა და ბაქოს შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ეკონომიკური განვითარების პროცესიც კოლონიზაციის მიზნით გამოეყენებინა - ხელს უწყობდა არაქართველი მოსახლეობის მოზიდვას ბათუმის ოლქში. თუმცა, ილია ჭავჭავაძის, სერგი მესხის, ლუკა ასათიანის, ივანე ანდრონიკაშვილისა და სხვა მამულიშვილთა ძალისხმევით ცარიზმის მიზანი - მოეხდინა მხარის სრული კოლონიზაცია და გადაექცია ბათუმი ტიპიურ რუსულ ქალაქად- მიუღწეველი დარჩა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი; ბათუმის ოლქი; მუჰაჯირობა; კოლონიზაცია; ქართული საზოგადოება.

შესავალი. რუსეთი XVI საუკუნიდან მოკიდებული დაჟინებით ცდილობდა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გადაეჭრა შავიზღვისპირეთისა და კავკასიის პრობლემები. ამ მიმართულებით მას ჰყავდა დიდი და ძლიერი მეტოქეები ოსმალეთისა და ირანის სახით. ხანგრძლივ და დაძაბულ დაპირისპირებაში რუსეთმა სძლია მეტოქეებს. გამოიყენაXVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე საფრანგეთის რევოლუციის

შედეგად შექმნილი რთული საერთაშორისო ვითარება, ასევე კავკასიაში არსებული მწვავე პოლიტიკური და სიცუალურ-ეკონომიკური სიტუაცია და გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია. 1801 წლიდან, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, რუსეთის იმპერია სულ უფრო აფართოებდა გავლენას კავკასიაში. კავკასიის დაპყრობის პროცესში რუსეთის გამოკვეთილ მიზანს ბათუმის, როგორც შავი ზღვის აუზში მნიშვნელოვანი ნავსადგურის დაუფლება წარმოადგენდა. ბათუმის საკითხის გადაწყვეტას ცარიზმი ესწრაფოდა 1806-1812 წწ., 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის და1853-1856 წწ. ყირიმის ომის პერიოდში, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნულ მიზანს რუსეთმა მიაღწია 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, როცა ჯერ სან-სტეფანოს, ხოლო შემდეგ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა ბათუმითურთ, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის შემადგენლობაში მოექცა. რუსეთის იმპერიული გეგმების მიუხედავად, ამ ფაქტს ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა, რასაც ადასტურებს (საარქივო და იმდროინდელი პრესის მასალების საფუძველზე) მაშინდელი ქართველი საზოგადოებრიობის როგორც ომისადმი, ისე ახლად განთავისუფლებული მხარის მოსახლეობის პრობლემებისადმი დამოკიდებულება. რუსეთის მიზანი, როგორც საერთოდ კავკასიაში, ახლადშემოერთებული მხარეების სრული (ადმინისტრაციული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული) ათვისება იყო.

მეთოდები: წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: სისტემური ანალიზის მეთოდი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები. ბათუმის ოლქის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი საყურადღებო ნაშრომი მოგვეპოვება. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში საარქივო და პრესის მასალებზე დაყრდნობით, არსებული ისტორიოგრაფიის გათვალისწინებით შევეცადეთ შეგვესწავლა რუსეთის პოლიტიკა ბათუმის ოლქში მისი შექმნის დროიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. გამოგვეკვეთა რუსეთის ხელისუფლების მიზნები, მათი განხორციელების გზები და მეთოდები, გვეჩვენებინა აღნიშნული პოლიტიკის შედეგები.

1878 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სამხრეთ-დსავლეთის ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე ცალკე ადმინისტრაციული ერთეული - ბათუმის ოლქი შექმნა. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას. იმთავითვე გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება აშკარა რუსიფიკაციისა და კოლონიზაციის კურსს დაადგა: 1) ცდილობდა გამოეყენებინა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილება და რაც შეიძლება მეტი მაჰმადიანი ქართველი გაესახლებინა (განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლიდან), ხოლო მათ ადგილას რუსი ან სხვა ეროვნების კონტიგენტი ჩამოესახლებინა. 2) იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე უდგებოდა მთავრობა საადგილმამულო ურთიერთობების შესწავლასა თუ გადაწყვეტის საკითხს; შექმნა დროებით საადგილმამულო კომისია და საკითხის „გარკვევამდე“ აკრძალა უძრავ ქონებაზე ყოველგვარი გარიგება. ამავე ინტერესებით უდგებოდა პორტო-ფრანკოს სტატუსს და თვლიდა მას მიუღებლად. 3) ბათუმიდან ბაქოს ნავთობის ექსპორტმა განსაზღვრა ბათუმის სწრაფი განვითარება. განსახილველი მეოთხედი საუკუნის მანძილზე მისი მოსახლეობა 10-ჯერ გაიზარდა და 3000-დან (1878 წ.) 30 000-ს (1903 წ.) გადააჭარბა. დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების ტემპმა და მასშტაბებმა აიძულა ხელისუფლება ცვლილებები მოეხდინა მმართველობის სფეროშიც, თუმცა ყოველნაირად ცდილობდა მის შეზღუდვასა და კონტროლს. 4) ბათუმის ოლქის შექმნის დღიდანვე

ქართველი საზოგადოება დიდი ილიასა და მისი თანამოაზრეების თაოსნობით დაუცხრომლად იბრძოდნენ სამაჰმადიანო საქართველოს პრობლემების გადასაჭრელად. სწორედ ამან ჩაშალა ხელისუფლების გეგმა - მოეხდინა ბათუმის ოლქის სრული კოლონიზაცია.

დისკუსია. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის აჭარა და შავშეთიც, განთავისუფლდა და ამიერიდან საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად რუსეთის იმპერის შემადგენლობაში მოექცა. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, რომელთა საერთო განწყობილება დიდმა ილია ჭავჭავაძემ ასე გამოხატა: „ ... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი ... ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ (ჭავჭავაძე, 1987). 1877-1878 წწ. ომისადმი და ამ ომის შედეგად დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების ნათელი გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება.

რუსეთს სამხრეთ კავკასიაში დიდი ინტერესები გაჩნდა. ეს ინტერესები რუსეთის დამკვიდრების პირველი დღეებიდანვე გახდა აშკარა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახლად შემოერთებული ტერიტორიების ბაზაზე ცალკე ადმინისტრაციული ერთეული - ბათუმის ოლქი შეიქმნა. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში სამხედრო გუბერნატორი ედგა. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი (Батумь и его окрестности, 1906:105). ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად:

ა) ბათუმის ოკრუგი - ბათუმის, კონტრიშის და გონიოს უბნები;

ბ) ართვინის ოკრუგი - არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უბნები;

გ) აჭარის ოკრუგი - ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნები. (Франкель, 1879:122)

ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფით რუსეთის ხელისუფლება ორ მიზანს ისახავდა : ჯერ ერთი, ამით ხელი შეეშლებოდა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შერწყმის (ეკონომიკური და პოლიტიკური -ავტ.) ბუნებრივ პროცესს და მეორეც, ხელისუფლება უფრო სწრაფად მოახდენდა აჭარის (და საერთოდ ბათუმის ოლქის) კოლონიზაციას.

რუსეთთან ახლად შეერთებული მხარეების მოსახლეობას გენერალმა სვიატოპოლ-მირსკიმ გამოუცხადა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა ადგილობრივთა ქონება, რელიგია, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები დარჩებოდა იგივე, რაც ოსმალთა მმართველობის პერიოდში იყო. უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი თვითმმართველობა, გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო (სცსსა, ფ. 426, ს.163 : 11). სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობისადმი მიცემული პირობა არ შეასრულა, რამაც ოსმალეთში გადასახლების პროცესს ხელი შეუწყო. მით უფრო, რომ ოსმალეთის აგენტები ხალხში სხვადასხვა ჭორს (სალდათში გაწვევას, ძალად გაქრისტიანებას, ტრადიციების ხელყოფას) ავრცელებდნენ.

ადგილობრივ მკვიდრთათვის ძნელად ასატანი და შესაგუებელი იყო უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღება. ,,დროება“ ეხებოდა რა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქაურთა მუჰაჯირად წასვლის ძირითად მიზეზად რუსულ მმართველობას და სამართალს მიიჩნევდა: ,,ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პატარა, ფუხარა და შეძლებული, ყველაყაი სტოვებს თავის

სახლ-კარს, დედულ-მამულს და მიეშურება ხონთქრის სამკვიდრებელში ... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუღოს, კვლავად გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს - ერთი რაცღაის შემოღების მეტი არაფერი იქნება საჭირო. ამ ერთს რაღაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად. იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვაღებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუსთ-მმართველობას და ტირილით გარდახვეწილ მუჰაჯირებსაც კი დააბრუნებს“ („დროება“, 1881:4).

რუსეთის ხელისუფლება თავდაპირველად ცდილობდა წაექეზებინა გადასახლების პროცესი და ასე გამოეთავისუფლებინა მიწის ფართობი კოლონისტებისათვის. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხვდებოდნენ ასეთი პოლიტიკის სიმცდარეს. ა. ფრენკელი, რომელმაც 1879 წელს იმოგზაურა აჭარაში, წერდა: „ასეთმა გადასახლებამ, ჯერ ერთი, შეიძლება ჩვენ დაგვაკარგვინოს მამაცი მოსახლეობის კონტიგენტი, ამავე დროს შეიძლება შეარყიოს ჩვენი გავლენა მცირე აზიაში და უახლოეს დროში უამრავი წარუმატებლობის წყაროდ იქცეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე აზია მალე შეიძლება გახდეს ჩვენი „საბოლოო“ ანგარიშების ასპარეზი თურქეთთან და მის მოკავშირე ინგლისთან. მაშინ ჩვენ 1882 წელს დასავლეთ საქართველოში კავკასიის მთავარმართებლის - ალექსანდრე დუნდუკოვ-კორსაკოვის ვიზიტს რომ ეხება, ავტორი წერს:ვინანებთ მოუსვენარ აჭარლებზე, რომელთაგან განთავისუფლებასაც ახლა ასე ვჩქარობთ“ (1878:130-131). 1882 წლის თებერვალში დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში იმოგზაურა მთავარსარდალმა, თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა. „19 თებერვალს ჭოროხის ხეობის მცხოვრებლებმა, სამასმა ოჯახმა სთხოვა თ. დონდუკოვ-კორსაკოვს ოსმალეთში გადასახლების ნებართვა, მაგრამ მთავარმართებელმა ვერ მისცა ამათ ეს ნებართვა. მეორეს მხრით, გასცა განკარგულება, რომ ყველა მოჯახირებს (გადასახლებულებს) ოსმალეთიდან უკან დაბრუნების უფლება მიეცათ („დროება“, 1882:39). საინტერესოა მთავარმმართებლის პოზიცია, რომელიც ჩვენი აზრით, მუჰაჯირთა მიმართ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის გარკვეულ ცვლილებაზე უნდა მიუთითებდეს. რაც გამოწვეული იყო არა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ცვლილებით, არამედ სურვილით რამდენადმე შეენარჩუნებინა ადგილობრივი მოსახლეობა, ვინაიდან ოსმალეთში მუჰაჯირად წასულები მომავალში ეცდებოდა რა მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას, სულთნის ხელისუფლების მხრიდან რუსეთის საწინააღმდეგოდ იქნებოდნენ გამოყენებულნი.

აჭარაში რუსეთის ადინისტრაციული მმართველობის შემოღების შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგება. ამ მიმართებით რუსეთის ხელისუფლებას გარკვეული ინტერესები გააჩნდა, განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლში. ცარიზმის დაინტერესება მდგომარეობდა შემდგომში - რაც შეიძლება მიწის მეტი ფართობი გამოეთავისუფლებინა კოლონისტებისათვის ახლადშემოერთებულ მხარეში.

ბათუმის ოლქში მიწათსარგებლობის წესების შესწავლისა და საერთოდ მიწათმფლობელობის საკითხის გადასაწყვეტად ხელისუფლებამ 1879 წელს შექმნა სპეციალური ,,საადგილმამულო კომისია რომელსაც სათავეში ჩაუყენა ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე“ (სიჭინავა, 1958: 81). კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის სათავეში დიდი პატრიოტი დ. ბაქრაძე იდგა, იგი იძულებული იყო მიწათმფლობელობის პრობლემები ისე გადაეწყვიტა, როგორც ამას ცარიზმის ინტერესები მოითხოვდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტია კავკასიის ჯარების მთავარსარდლების გენერალ-ადიუტანტ თავად სპიატოპოლკ-მირსკის ქ. თბილისში, 1879 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული ინსტრუქცია კომისიებისადმი, რომლებსაც უნდა

შეესწავლათ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწისმფლობელთა უფლებები და მათზე არსებული აქტები (აცსა, ფ.6, ს.141 : 378-381).

სერიოზულ პრობლემას ქმნიდა ისიც, რომ ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა წასვლისას მიუხედავად შეთანხმების პირობისა, მთელი არქივები (და მათ შორის საკადასტრო წიგნები თუ მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტები) თან წაიღეს. ახლადშექმნილი კომისიების მოვალეობას წარმოადგენდა მოეძიებინა ადგილობრივ მოსახლეობაში ამ სახის დოკუმენტები და თუ ასეთი აღმოჩნდებოდა გადაეცა იგი კავკასიის სამხარეო მმართველობისათვის.

ინსტრუქციის №15 პარაგრაფით თუ რომელიმე დოკუმენტი ტოვებდა ყალბის შთაბეჭდილებას, ხდებოდა ამის დაფიქსირება ოქმში, შემდეგ მისი შედარება სხვა საკადასტრო წიგნებთან (თუ ასეთი კომისიას მოეძევებოდა) თუ არა კეთილსინდისიერი პირების დაკითხვა, რის შემდეგაც დოკუმენტი მიიჩნეოდა სანდოდ ან ყალბად. ცხადია, ,,კეთილსინდისიერი პირები“ რუსეთის ხელისუფლებისათვის სასურველ თვალსაზრისს დაუჭერდნენ მხარს.

რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ მიზანს ცხადყოფს ინსტრუქციის №10 პარაგრაფი: ,,კომისია ვალდებული იყო ზუსტად განესაზღვრა ყველა თავისუფალი მიწისა და სავარგულების რაოდენობა, რომელიც შეადგენდა ხაზინის საკუთრებას...“ (აცსა, ფ.6, ს.141: 378-379).

თუ რამდენად ,,ზუსტად განსაზღვრა“ და ,,შეისწავლა მიწისმფლობელთა უფლებები“ ხსენებულმა კომისიამ, კარგად ჩანს იქედან, რომ მიწისმფლობელობის საკითხი კვლავაც დიდხანს გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. ,,ბათუმის ოლქში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში 33 წელია, ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული მიწათმფლობელობის საკითხი“ (,,ბათუმის გაზეთი“, 1911:8). ამ სფეროში შექმნილ კრიტიკულ ვითარებას ვერც ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები ფარავდნენ. კავკასიის სამთო სამმართველოს 1913 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: ,,მიწათმოწყობა ბათუმის ოლქში ჯერ არ განხორციელებულა, ამდენად ჯერ კიდევ დაუდგენელია, სად მთავრდება ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწები და სად იწყება სახაზინო მამულები“ (სცსსა, ფ.264, ს.4805 : 307).

მაინც რატომ აყოვნებდა რუსეთის ხელისუფლება მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრას? ვფიქრობთ, ასეთ გაურკვეველ ვითარებაში უფრო იოლად შეეძლო კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელება.ოფიციალური საბუთების გარეშე მიწისმფლობელს არ შეეძლო მის სარგებლობაში მყოფი მიწის გასხვისება. მეორეს მხრივ ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა მუჰაჯირობას. რათა ,,განთავისუფლებულ“ მიწებზე ,,ერთგული“ ელემენტი ჩამოესახლებინა.

რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ასეთი გეგმაზომიერი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მალე აჭარის ზღვისპირა ზოლი მთლიანად გადმოსახლებული კოლონისტების ხელში მოექცა. ,,1905 წლისთვის ქობულეთამდე გადაჭიმულ რუს მემამულეთა შორის ქართველი მიწათმფლობელი მხოლოდ სევასტი ჭელიძე ყოფილა“ (გოგოლიშვილი, 1996 : 11).

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ნათლად გამოჩნდა ბათუმის პორტო-ფრანკოს საკითხშიც. ცნობილია, რომ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა როგორც თავისუფალი, ღია სავაჭრო ნავსადგური. რუსეთის დელეგაცია იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა მის შეზღუდვას. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მმართველობას დაავალა შეემუშავებინა ბათუმის პორტო-ფრანკოსათვის შესაბამისი წესდება.

წესდების მიხედვით პორტო-ფრანკო თხრილით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული.იქმნებოდა საბაჟო საგუშაგოები, რომელთაც უნდა გაეკონტროლებინათ

ქალაქში, როგორც საქონლის შემოტანა, ისე განსაკუთრებით მისი გატანა. ამ მიზნით ქალაქს დაუწესდა ოთხი საბაჟო კარი: ოზურგეთისა (ქობულეთ-გურიისკენ), კახაბრისა (ქედა-ხულოსკენ), ჭოროხისა (ბორჩხა-ბირთვინისაკენ) და ჭოროხის ბოლოსი (გონია-სარფის გზით ყარს-ტრაპიზონისაკენ). ამ კარებში გატანილ ნებისმიერ საქონელზე მეპატრონეს უნდა გადაეხადა ბაჟი დაწესებული ნიხრით (სურგულაძე, სიორიძე, 1996 : 25). რუსეთის ხელისუფლება, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღებისა, სარგებლობს რა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ევროპის სახელმწიფოთა შორის ახალი გადაჯგუფებით, თანდათან იწყებს პორტო-ფრანკოს შეზღუდვას. ხოლო 1886 წლის 27 ივნისს, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ბრძანებულებით ბათუმში პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოცხადდა.

რუსეთის ხელისუფლების ნამდვილი განზრახვა კარგად გამოჩნდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიც იყო ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება და მისი შემდგომი საქმიანობა.

1888 წლის 28 აპრილს ბათუმზე გაიცა უმაღლესი ბრძანება თვითმმართველობის შემოღების შესახებ. აღნიშნული განკარგულების განხორციელებისათვის შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი ჩაუყენეს. განკარგულების მიხედვით ქალაქის თავის მოვალეობას პირველი ოთხი წლის მანძილზე შეასრულებდა არა სათათბიროსაგან არჩეული, არამედ მთავრობისგან დანიშნული პიროვნება, ასევე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში. ამდენად ბათუმის თვითმმართველობის უფლებები იმთავითვე შეკვეცეს, რასაც ემატებოდა რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარევის შემთხვევები და სხვა. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე. მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, თვითმმართველობა ცდილობდა გადაეწყვიტა ქალაქისთვის ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორიც იყო წყლით მომარაგება , განათება, სანიტარული მდგომარეობა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა.

თვითმმართველობის სამოქმედო ასპარეზს ზღუდავდა იმდროინდელი სისტემის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის უფლებებს კვეცავდა. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა ბათუმის ოლქისა თუ კავკასიის ადამინისტრაცია უხეშად ერეოდა თვითმმართველობის საქმეებში. ამის მაგალითია 1901 წელს გამგეობის წევრად ი. ივანოვის კანდიდატურის თავს მოხვევა. 1911 წელს ბათუმის ოლქის გუბერნატორი მოითხოვდა ქალაქის თავისაგან ხმოსნების: გ. სოგოროვის, ე. ბერძენიშვილის, ა. დეკანოზოვის, გ. ელიავას და ხმოსანთა კანდიდატის ე. ხორომანსკის გადაყენებას და მათ შეცვლას გურგენიძით. ვ. რუხაძით, ნ. საიპოვით და ი. კახიანით („ბათუმის გაზეთი“, 1911 :12).

თვითმმართველობის წინააღმდეგ ცილისწამების ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1910 წლის 2 აპრილს „რუსკოე ზნამიაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ბათუმის თვითმმართველობისს წევრებს და გამგეობას 1905-1907 წლების რევოლუციური მოვლენების დროს აჯანყებულებზე მხარდაჭერა ბრალდებოდათ. ეს საქმე ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ მოიგო. 1915 წლის 31 მარტს სასამართლომ დუბროვინს 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა (აცსა, ფ.6, ს.652 :1-6).

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა განსაკუთრებით ნათლად დასტურდება ბათუმის ოლქის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და მისი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებით.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში სამხედრო გუბერნატორი ეყოლებოდა. მთავრობა მალე დარწმუნდა, რომ ჩატარებული ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ცარიზმს აშკარად არ აკმაყოფილებდა ბათუმის ოლქის კოლონიზაციის ტემპები (ქცა, ფ.130, ს. 258 : 24). ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის შენახვა მთავრობას არც თუ მცირე თანხები უჯდებოდა. ,,ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა ხაზინას ყოველწლიურად უჯდებოდა 219, 419 მანეთი (,,Кавказъ“, 1882 :155). მე-19 საუკუნის 80-იან წლებში კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირების მიზნით მომზადდა რეფორმების პროექტი როგორც კავკასიის მმართველობის ცენტრალურ აპარატში, ისე ადმინისტრაციული მოწყობის სისტემაში. ასეთ ვითარებაში გაჩნდა ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების იდეა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ხარჯებისაგან გაათავისუფლებდა. ,,ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე ... ამ გზით სახელმწიფო შეამცირებს ხარჯებს 173, 349 მანეთით“- წერდა ,,კავკაზი“ (,,Кавказъ“, 1882 :155). ხელისუფლებას მოეწონა აღნიშნული მოსაზრება და ბათუმის ოლქის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, ბათუმის ოლქი, რუსეთთან შეერთების შემდეგ არსებობდა დაახლოებით 4 წელს.

მალე ცხადი გახდა, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ცარიზმის მზაკვრული მიზანი- ბათუმი წმინდა რუსულ ქალაქად გადაქცეულიყო ,ხოლო ბათუმის ოლქი საერთოდ მოწყვეტოდა ქართულ სამყაროს - განუხორციელებელი დარჩა. ,,ცარიზმის ერთგულმა გუშაგებმა გვიან იგრძნეს ეს მარცხი და ამის უმთავრეს მიზეზად 1883 წლის რეფორმის შედეგად ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება მიიჩნიეს (სიჭინავა, 1958 : 83).

რუსეთის ხელისუფლების სურვილი, სწრაფად მოეხდინა აჭარის კოლონიზაცია, მიუღწეველი იყო. ეს მაშინ, როცა ბათუმის ოკრუგი (ე.ი. აჭარა- ავტორი) მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე არამჭიდროდ დასახლებული მხარე იყო. ქუთაისის გუბერნიის 1892 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: ,,ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი 530 მცხოვრებით, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად შეადგენს 28 კომლს და 157 მცხოვრებს“ (ქცა, ფ. 130, ს.175 : 2). ამის მიუხედავად, გადმოსახლებული ,,ერთგული ელემენტის“ რაოდენობა არც ისე ბევრი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ რუსი მოხელეები, ,,ბათუმის და ართვინის ოკრუგში მოსული მოსახლეობა არის უმნიშვნელო. სულ არის ორი რუსული დასახლება - ერთი ჩურუქ-სუსთან, სადაც მოახალშენეებს გამოეყოთ 11 დესეტინა მიწა თითო კომლზე, და მეორე - ხოლოდნაია სლობოდა ბათუმის ახლოს. აქ მხოლოდ მამულისათვის გამოეყოთ მიწები (ქცა, ფ. 18,2145 :4). საქმე მთლად ასე როდი იყო. ჯერ ერთი რუსი კოლონისტები ძნელად ეგულებოდნენ ადგილობრივ კლიმატურ თუ საყოფაცხოვრებო პირობებს, მეორე - მათ სურდათ მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასახლება, სადაც თავისუფალი მიწები უკვე იმ დროისთვის ძნელად იშოვებოდა. ამით იყო გამოწვეული კოლონიზაციის დაბალი ტემპი. მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის სამრეწველო განვითარების მასშტაბებმა და ჩაქვში საუფლისწულო მამულის დაარსებამ, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვდა, ხელისუფლებას ზემოთ აღნიშნული ,,ნაკლოვანების“ „გამოსწორების“ საშუალება მისცა.

1896 წელს დუნდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ კავკასიის მთავართმართებელი გახდა გენერალი გოლიცინი (იგი მთავარმართებელი იყო 1896-1904 წწ. -ავტ.). ახლადდანიშნული

მთავარმართებელი ,,აკრიტიკებდა კავკასიაში 1883-1885 წლების რეფორმის ორგანიზატორებს, რომელთა ძირითად მიზანს მხარის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირება შეადგენდა“ (ვანიშვილი, 1989 : 86). გოლიცინი სასტიკად ილაშქრებდა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების წინააღმდეგ. მიაჩნდა, რომ ეს ხელს უწყობდა არა მარტო მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, არამედ გააძლიერებდა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესს. ეს კი ნამდვილად არ შედიოდა კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრულად გამტარებელი მთავარმართებლის ინტერესებში. ამას დაემატა ისიც, რომ მე-19 საუკუნის დამლევიდან ბათუმი მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. კავკასიის ადმინისტრაცია რევოლუციური გამოსვლების გაძლიერებისა და მის წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლის მიზეზს ბათუმში ადმინისტრაციული ცენტრის არ არსებობაში ხედავდა.

ბათუმის ოლქის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1900 წელს დამდგარა. ამას ადასტურებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში 1900 წლის 23 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი № 4821, რომელშიც ნათქვამი იყო: ,,თქვენო უმაღლესობავ, ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გამოყოფა ვცანით სასარგებლოდ და აუცილებლად“ (ქცა, ფ. 186, ს. 759 :1).

1902 წლის 9 მარტის რევოლუციურმა მოვლენებმა კვლავ განსაკუთრებული აქტუალობით დასვა ბათუმის ადმინისტრაციული სტატუსის აღდგენის საკითხი. იმპერატორის კანცელარიიდან მთავარმართებლის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: ,,როგორც ჩანს თქვენ ვერ იმოქმედეთ ისე, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების საკითხი. სწორედ ეს უმოქმედობა გახდა მიზეზი 1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრისა. ამჟამად, მგონი აღარ გამოინახება იმის საბაბი, კიდევ გადაიდოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი. ამიტომ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე გამოყოფის თაობაზედ (აცსა, ფ. 7, ს.431 : 46). ოფიციოზი ბათუმის ოლქის გამოყოფის ასეთნაირად ასაბუთებდა:,,1883 წელს ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება იყო ხელოვნური და მექანიკური გაერთიანება ერთ მმართველობაში ორი პრინციპულად განსხვავებული სისტემისა და აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი ადგილებისა, და ამ ღონისძიებამ შეაფერხა ახლადშემოერთებული ოლქის განვითარება ყველა მიმართულებით და მოუტანა ხაზინას ზარალი, რომელიც აჭარბებდა ეკონომიას, მიღებულს დამოუკიდებელი ბათუმის ოლქის მმართველობის გაუქმებით“ (სცსსა, ფ.12, ა.1, ს.2947:2).

1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ II ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის აღდგენის შესახებ დადგენილებას. 1903 წლის 17 მარტს მისი უმაღლესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს წინადადების საფუძველზე იმავე წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან მასთან შეერთებული ბათუმისა და ართვინის ოკრუგები გამოიყო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, სამხედრო გუბერნატორის მმართველობით. ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქ. ბათუმი“ (ქცა, ფ. 130, ს.258 : 4).

ამრიგად, ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთების შემდეგ აშკარად გამოიკვეთა მისი მიზანი, დაუყოვნებლივ მოეხდინა ახლადშემოერთებული მხარის სრული კოლონიზაცია. განზრახვის განსახორციელებლად იგი იყენებდა ყველა სფეროს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს. ამის მიუხედავად, ქართველ მამულიშვილთა ძალისხმევით ცარიზმის გეგმა მიუღწეველი დარჩა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

აჭარის ცენტრალური სახელმეიფო არქივი, ფონდი 6, აღწერა 1, საქმე 141.
აცსა, ფ.6, ა.1,ს. 652.
აცსა,ფ.7, ა.1, ს.431.
საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 264, აღწერა 4, საქმე 4805.
სცსსა, ფ. 426, ა. 3, ს.163.
ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 18, აღწერა 1, საქმე 2145
ქცსა, ფ. 130, ა.1, ს. 175.
ქცსა,ფ.130,ს. 258.
ქცსა, ფ.186, ა.1, ს. 759.
„ბათუმის გაზეთი“, (1911). N 8. ბათუმი.
„ბათუმის გაზეთი“, (1911). N12. ბათუმი.
„დროება“, (1881). N 4. თბილისი.
„დროება“, (1882). N 39. თბილისი.
გოგოლიშვილი, ო. (1996). *საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914 .* I. ბათუმი.
ვანიშვილი, შ. (1989). *ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ.* თბილისი.
სიჭინავა, ვ. (1958). *ბათუმის ისტორიიდან.* ბათუმი.
სურგულაძე, აბ. სიორიძე, მ. (1996) *პორტო ფრანკო ბათუმში.* ბათუმი.
ჭავჭავაძე, ი. (1987). *რჩეული.* V. თბილისი.
Батумь и его окрестности. (1906). Батумь.
„Кавказъ“. (1882). N 155 .Тифлись.
Франкель, А. (1879). *Очерки Чурук-су и Батума.*Тифлись.

REFERENCES

ach'aris tsent'raluri sakhelmeipo arkivi, pondi 6, aghts'era 1, sakme 141.*[Central State Archives of Adjara,* Fund 6, Description 1, Case 141]
atssa, p.6, a.1,s. 652. [CSAA, F.6, D. 1, C. 652]
atssa,p.7, a.1, s.431. [CSAA, F.7, D. 1, C. 431]
sakartvelos tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio arkivi, pondi 264, aghts'era 4, sakme 4805. *[Central State Historical Archive of Georgia*, Fund 264, Description 4, Case 4805]
stsssa, p. 426, a. 3, s.163. [CSHAG, F.264, D.4, C.405]
kutaisis tsent'raluri sakhelmts'ipo arkivi, pondi 18, aghts'era 1, sakme 2145 [*Central State Archives of Kutaisi*, Fund 18, Description 1, Case 2145]
ktssa, p. 130, a.1, s. 175. [CSAK, F.18, D. 1, C. 2145]
ktssa,p.130,s. 258. [CSAK, F.130, D. 1, C. 258]
ktssa, p.186, a.1, s. 759. [CSAK, F.186, D. 1, C. 759]
,,*batumis gazeti“,* (1911). N 8. Batumi. [“*Batumis gazeti”* N8]. Batumi.
,,batumis gazeti“, (1911). N12. Batumi. [“*Batumis gazeti”* N12]. Batumi.
,,droeba“, (1881). N 4. tbilisi. [“droeba” N4]. Batumi.
,,*droeba“*, (1882). N 39. tbilisi. [“droeba” N39]. Batumi.

gogolishvili, o. (1996). *sazogadoebriv-p'olit'ik'uri vitareba batumis olkshi 1900-1914.* I. Batumi. [*Socio-political situation in Batumi Region 1900-1914.* I.] . Batumi.

vanishvili, sh. (1989). *amierk'avk'asia rusetis mmartvelobis sist'emashi 1864-1917 ts'ts'.* Tbilisi. *[Transcaucasia in the Russian government system 1864-1917.].* Tbilisi.

sich'inava, v. (1958). *batumis ist'oriidan.* Batumi. [*From the history of Batumi].* Batumi.

surguladze, ab. sioridze, m. (1996) *p'ort'o prank'o batumshi.* batumi. [*Porto Franco in Batumi.]. Batumi.*

ch'avch'avadze, i. (1987). *rcheuli.* V. Tbilisi. [Chosen. V.]. Tbilisi

Batum' i ego okrestnosti. (1906). Batum'. [Batumi and its environs].Batumi

,,*Kavkaz#".* (1882). N 155 .Tiflis'. ["*Caucasus"*N155]. Tbilisi

Frankel', A. (1879). *Ocherki Churuk-su i Batuma.*Tiflis'. [*Essays on Churuk-su and Batum*]. Batumi